

ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება №68

2016 წლის 1 აგვისტო

ხაშური


ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოში საარჩევნო ბლოკის „ქართული ოცნება“ პარტიული სიით არჩეული საკრებულოს გამოკლებული წევრის - გიორგი ცხადიაშვილის ადგილმონაცვლე საკრებულოს წევრობის კანდიდატ მალხაზ კორკოტაძის უფლებამოსილების ცნობის შესახებ

„ხაშურის N35 საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის 2016 წლის 14 ივლისის N05/2016 განკარგულებით, ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოში საარჩევნო ბლოკის „ქართული ოცნება“ პარტიული სიით არჩეული საკრებულოს გამოკლებული წევრის - გიორგი ცხადიაშვილის (პარტიულ სიაში N2 - „თავისუფალი დემოკრატები“) ადგილმონაცვლედ ცნობილი იქნა საკრებულოს წევრობის კანდიდატი მალხაზ კორკოტაძე (პ/N57001016465, პარტიულ სიაში N22 - „თავისუფალი დემოკრატები“), რომლის საკრებულოს წევრის უფლებამოსილების ცნობისათვის ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის დასკვნით წარმოდგენილ იქნა დადებითი რეკომენდაცია.

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 61-ე მუხლის 1-ლი და მე-2 პუნქტის და ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 14 ივლისის N22 დადგენილებით დამტკიცებული „ხაშურის მუნიციპალიტეტის რეგლამენტის“ 93-ე მუხლის საფუძველზე, ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

1. ცნობად იქნას მიღებული ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს გამოკლებული წევრის ადგილმონაცვლედ მალხაზ კორკოტაძის უფლებამოსილება.
2. განკარგულება ძალაში შედის ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ვებგვერდზე www.khashuri.org.ge გამოქვეყნებისთანავე;
3. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს, დაინტერესებული პირის მიერ, მისი გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში სარჩელის წარდგენის გზით ხაშურის რაიონულ სასამართლოში (მის: ხაშური, კოსტავას ქ. №15).

ხაშურის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე



ვაჟა შუბითიძე